საქ. მემარცხენე სოც.-ფედ. პარტია

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 1,000,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 40,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი
1 გვ. 250,000 მან.
4 „ 200,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 506 ოთხშაბათი, ივნისის 27 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 40,000

ხვირას, ივლისის 1, პარტიის მთავარ კლუბში მოწვეულია საქ. მემარცხ. სოც.-ფედ. პარტიის ტფილისის საქალაქო კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. პარტიული მუშაობა.
3. ტფილისის კომიტეტის ანგარიში.
4. მოხსენებანი ადგილებიდან.
5. მიმდინარე საკითხები.
6 არჩევნები ტფილისის კომიტეტის და სარევიზიო კომისიისა.

დელეგატებს ირჩევს სარაიონო საზოგადო კრება.

ფრაქციები, ახალგაზრდათა კავშირი და სტუდენტთა ორგანიზაცია გზავნის თითო დელეგატს **სათათბირო** ხმით.

კონფერენცია გაიხსნება დილის 11 საათზედ.

ტფილისის კომიტეტი.

ყველა დაწესებულებათ და კერძო პირთ

(გარდა სამხედრო უწყებისა),

რომელთაც ყავთ სამგზავრო თუ საბარგო ავტომობილები და მოტოციკლეტები, ევალებათ დაუყონებლივ მიიღონ ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტიდან (ოთახი № 4) შესაფერისი ნომრები და მოწმობები თავისუფალ მიმოსვლის შესახებ,

იმ დაწესებულებათ და კერძო პირთ, რომელთაც რეგისტრაციაში ერთხელ უკვე გაუტარებიათ თავიანთი მანქანა და დროებითი მოწმობებიც მიუღიათ, ევალებათ უკან წარმოუდგინონ დროებითი მოწმობები და მიიღონ სათანადო ნომრები და მუდმივი მ-ფ-ბ.

რეგისტრაცია ტარდება შემდეგ ვადებში:

1, 2, 3, 4	კომისარიატი	—	27 ივნისიდან 5 ივლისამდე:
5, 6, 7, 8	„ „	—	6 ივნისიდან 10 ივლისამდე.
9, 10, 11, 12, 13.	„	—	11 ივნისიდან 16 ივლისამდე.

სარეგისტრაციოთ გამოცხადებული ნომრების მიღებისთანავე გადახდებათ, თანახმათ აღმასკომის დადგენილებისა, მოწმობების და ნომრების დასამზადებელი ერთი მანეთი და სამოცდა-ხუთი კაპეიკი ჩერვონ.

სრულიად გამოუდეგარი ავტომობილები და მატოციკლეტები არ გატარდებიან რეგისტრაციაში და არც ნომრები გაიცემა მათზე.

მანქანათა პატრონთ, რომელნიც სარეგისტრაციოთ და მოწმობების მისაღებად დანიშნულ ვადაზე არ გამოცხადდებიან, გადახდებათ საურავი (пени) ვადის გასვლიდან 10 დღის განმავლობაში შესატან თანხის 5 პროცენტის რაოდენობით.

იმ დაწესებულებათ და პირთ, რომელნიც რეგისტრაციაში არ იქნებიან გატარებული და უბილეთოთ და უმოწმობოთ მიმოსვლას განაგრძობენ, სრულიად აეკრძალებათ მიმოსვლა და პატრონნიც პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

პრეზიდიუმი.

3—1 № 379

უოფილი ქართული კლუბის საზაფხულო დარგაზი

შაბათს, 30 ივნისს

ს. ფაშალიშვილის სალამო

პროგრამა:

1. შესავალი სიტყვა ალ. წერეთლის.
2. წარმოდგენა.
3. საპონცერტო განყოფილება.
4. დეკლამაცია

მონაწილეობენ:
მწერლები:
ს. აბაშელი,
ს. ფაშალიშვილი,
ობოლი მუშა,
გ. ქუჩიშვილი,
დ. ცვარნამი,
დემნა შენგელაია,
მიხ. ბოჭორიშვილი,
ალ. წერეთელი და სხ.

დრამის არტისტები:
ალ. იმედაშვილი,
ტასო აბაშიძე,
თამარ ჭავჭავაძე,
ნ. კასრაძე და სხვ.

მოცეკვავენ:
ვ. შარაშიძე,
ქაშაკაშვილი,
მარგარიტა გოგლიჩიძე,
თამარ ნიკოლაძე,
დ. აკოფაშვილი,
ნ. სტარჩაკოვა,
დები თარხნიშვილები,
და სხვ.

რუიალთან:
ზ. ბახუტაშვილი-ბელსკისა,
და სხვ.

დასაწყისი სალამოს 8 ნახ. საათზე.

4—1

გაზეთ „ტრიბუნის“ კანტორისაგან

ივლისის 1-დან „ტრიბუნა“ ეღირება:

[illegible] 1250,000 მ.
ცალკე ნომერი . 50,000 „

რუსეთი და შვეიცარია.

რუსეთ-შვეიცარიის ურთიერთობა გამწვავდა. ამხ. ვოროვსკის მოკვლამ მწვავე ხასიათი მისცა საბჭოთა მთავრობასა და დემოკრატიულ რესპუბლიკას შუა არსებულ წინააღმდეგობას.

მთელმა ქვეყანამ იცის, რომ რუსეთის წარმომადგენლის ტრაგიკულ სიკვდილში დანაშაული მიუძღვის შვეიცარიის ხელისუფლებას. უეჭველია, მკვლელი კონრადი საკუთარი თაოსნობით არ მოქმედობდა. ამ „პროცესში“ საგულისხმო როლს თამაშობდა შვეიცარიის ბურჟუაზიული წრეები, რომლებიც დიამეტრალად დაპირისპირებულია საბჭოთა მთავრობის ინტერესებთან. შვეიცარიის ადმინისტრაცია, სახელმწიფოებრივი ორგანოები ხელს უწყობდა მსხვილი კაპიტალისტური ჯგუფების შავს ზრახვებს რუსეთის მიმართ. ეს მოვლენა ბუნებრივია: დემოკრატიული შვეიცარია ბურჟუაზიის ბატონობის სამეფოა, სადაც ყოველივე კეთდება კაპიტალის ბატონობის საკეთილდღეოთ. დემოკრატიზმი, როგორც ყველგან, ისე პატარა შვეიცარიაშიც უბრალო შირმაა მშრომელი მასის მომჯადოებელი და კაპიტალისტური ბურჟუაზიის, კაპიტალის შრომაზე დიქტატურის იარაღი. შვეიცარიის ფედერალურ მთავრობის თანამედროვე პოზიცია მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს მიმართ ამის საუცხოო ილიუსტრაციაა.

საბჭოთა მთავრობამ ნოტით მიმართა შვეიცარიას, ნოტა მოითხოვდა შვეიცარიის მესვეურებისაგან ამხ. ვოროვსკის მოკვლის მიზეზების ახსნა-განმარტებას და მკვლელის და მის ზურგს უკან მდგომ შავრაზმულ ჯგუფების სასტიკ პასუხისმგებლობაში მიცემას. შვეიცარიის მთავრობას საბჭოთა რუსეთი ბრალს სდებდა მომხდარ შემთხვევის წარმოშობაში. თავის მხრით, შვეიცარიის მთავრობამ ოფიციალი ნოტით უპასუხა რუსეთის სამართლიან მოთხოვნილებას. ნოტას ახასიათებდა გამომწვევი კილო. შვეიცარიის ბურჟუაზია მოითხოვდა რუსეთის მხრით პასუხისმგებლობას ყველა იმ „უბედურ შემთხვევების“ გამო, რომელიც იწვნიეს რევოლიუციის სტიქიისაგან შვეიცარიის მოქალაქე კაპიტალისტ-მრეწველებმა საბჭოთა რესპუბლიკების მიდამოებში. ცხადია, შვეიცარიის ბურჟუაზიული წრეები არ დაადგებოდნენ აშკარად აქტიურ პოლიტიკის გზას, რომ იმ ხანებში ბრიტანეთიც არ ყოფილიყო დაპირისპირებული საბჭოთა ფედერაციასთან. კერზონის „ნოტების ტრიალით“ ბურჟუაზიული შვეიცარია „საომარ“ ნიადაგზე დადგა.

შვეიცარიის საპასუხო ნოტას საბჭოთა მთავრობამ უპასუხა პრაქტიკული გადაწყვეტილებით. რუსეთი უცხადებს შვეიცარიას ეკონომიურ ბოიკოტს. შვეიცარიის ქვეშევრდომ-მოქალაქეებს, გარდა მუშებისა და გლეხებისა, ეკრძალებათ საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე გადასვლა. რუსეთი სწყვეტს ეკონომიურ ურთიერთობას შვეიცარიასთან. შვეიცარიის კაპიტალისტთა ჯგუფები ვერ ისარგებლებენ სავაჭრო და საკონცესიო უფლებით. გაუქმებულია შვეიცარიის ფირმებთან დადებული ხელშეკრულებები. საბჭოთა რუსეთის სავაჭრო კომისარიატი ხელს იღებს შვეიცარიის მთავრობასთან ყოველგვარ სავაჭრო მოლაპარაკებაზე.

თუ ჩაუკვირდებით რუსეთის მიერ გადადგმულ ნაბიჯს, დავინახავთ, რომ მუშურ-გლეხურ ქვეყანამ პრაქტიკულ საშუალებას მიმართა შვაიცარიის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ევროპის ბურჟუაზიას პოლიტიკური ანტაგონიზმის გამწვავება იმდენად არ შეაბრძოლებს, რამდენად ეკონომიური კავშირის გაწყვეტა, ეკონომიური ხასიათის დაპირისპირება. ეკონომიურ-რეალი ინტერესების მონიშნეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ევროპის მმართველ წრეების პოლიტიკურ გეზის ვითარებაში. ევროპის სახელმწიფოები იტანჯება ეკონომიურ კრიზისებისაგან. საბჭოთა რუსეთთან სამეურნეო ურთიერთობის რკალში შესვლა აუცილებელია ევროპის ქვეყნებისათვის. საბჭოთა რუსეთი უზარმაზარი სახელმწიფოა. მას უჭირავს მსოფლიოს ერთი მეექვსედი და მისი მცხოვრებთა რაოდენობა უდრიის დაახლოებით მთელი ქვეყნის მცხოვრებთა რიცხვის მეხუთმეტედს. რუსეთი მდიდარია ნედლი მასალით, აგრეთვე დიდია მისი მოთხოვნილება ფაბრიკატების. კაპიტალისტურ ევროპის გზა უსათუოდ რუსეთისაკენ მიემართება. რუსეთს შეუძლია უევროპოდ ცხოვრება, ხოლო ევროპას ურუსეთოდ—დიდი ხნით არა. ეს დაამტკიცა ინგლისის ხეპრულმა პოლიტიკამ, ეკონომიურ ბლოკადამ რუსეთის მიმართ გასულ წლეებში. ცხადია, შვეიცარიის ბურჟუაზიის მდგომ[illegible] ეკონომიურ ბლოკადამ [illegible] ინგლისიბოიკოტ[illegible] [illegible] [illegible] [

ანგორა. 23 ივნისი. მღელვარება მოედო მთელ სირიას. ქალაქებში იხურება მაღაზიები. მოელიან შეტაკებას მცხოვრებლებსა და საფრანგეთის ჯარების შორის.

მერსინიდან მიღებული ცნობით გამოსვლები ხდება ლივანშიც. ბეირუტის ინტელინგენცია თანაუგრძნობს ლივანს, პროტესტს აცხადებს ფრანგების საოკუპაციო მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ და მოითხოვს სირიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

ალეპპოს რაიონში თხუთმეტი დღეა აჯანყება ხდება.

აჯანყება ალბანეთში.

ბერლინი. 23 ივნისი. ბელგრადიდან მიღებული ცნობების თანახმად, ჩრდილოეთ ალბანეთში აჯანყებამ იჩინა თავი მთავრობის წინააღმდეგ-აჯანყებულები, რომელთაც საკმაო არტილერია ჰყავთ, ამარცხებენ მთავრობის ჯარებს და სკუტარზე და კრაზე მიდიან. ბელგრადში ამ მოძრაობას ბულგარეთის გადატრიალების შედეგათ სთვლიან და შესაძლებლად მიაჩნიათ პრინც ვიდის ალბანეთში დაბრუნება.

ლოზანას კონფერენცია.

ბერლინი. 22 ივნისი. „მატენის“ ცნობით, საფრანგეთი არ შეცვლის თავის შეხედულებას ოსმალეთის მიერ თავის ვალზე პროცენტების გადახდის წესის შესახებ. როგორც ლოზანიდან იუწყებიან ოსმალეთის დელეგაცია დასტოვებს კონფერენციას, თუ საფრანგეთი არ დაეთანხმა სხვა მოკავშირეების მიერ მიღებულ გეგმას.

ლონდონი. 23 ივნისი. ლორდ კრიუმ გადასცა საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ბრიტანეთის მთავრობის შენიშვნები იმ ფორმულის შესახებ, რომელიც შეეხება ოსმალეთის ვალის კუპონების გადახდას და კონცესიებს ოსმალეთში. ეს ფორმულა პუანკარემ გადასცა ლონდონს შაბათს სანამ ეს ორი მუხლი არ იქნება სასურველად მოგვარებული, ლაპარაკიც არ შეიძლება არც ზავზე ხელის მოწერის და არც სტამბოლის ევაკუაციის შესახებ. საფრანგეთის მთავრობის აზრით, საჭიროა დარჩეს საზავო ხელშეკრულების პროექტში 94—96 მუხლები, რომლებიც ეხებიან კონცესიებს. მოკავშირეები ალბად, გადასცემენ თავიანთ მოთხოვნილებებს ისმეტ ფაშას და პასუხის დროს განსაზღვრავენ გარკვეული ვადით.

პარიზი. 28 ივნისი. შაბათს კონფერენციის სხდომაზე ირჩეოდა საზავო ხელშეკრულების პროექტი, რიზა-ნური-ბეივ განაცხადა, რომ ოსმალეთის დელეგაციამ მიიღო ინსტრუქციები შესწყვიტოს მოლაპარაკება სანამ ოსმალეთი არ მიიღებს სტამბოლის ევაკუაციის გარანტიებს. ეს განცხადება მოკავშირეებმა მიიღეს ცნობათ.

პარიზი. 25 ივნისი. შაბათს ინგლისის დელეგაციის მეთაურს რუმბოლდს თათბირი ქონდა საფრანგეთის და იტალიის დელეგაციებთან. გავასის სააგენტოს ცნობით თათბირი შეეხო ოსმალეთის მთავრობის სახელზე მოკავშირე სახელმწიფოების კოლექტიური ნოტის რედაქციას. ნოტაში ჩამოთვლილი იქნება ყველა სადაო საკითხები, რომლებიც ხელს უშლიან ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების დადებას. ამ კითხვებზე ოსმალეთმა გადაჭრილი პასუხი უნდა მისცეს მოკავშირეებს. ნოტას არ ექნება ულტიმატუმის ხასიათი.

სამხედრო გადატრიალება ბულგარეთში.

სოფიიდან გადმოცემულ ცნობების მიხედვით, ბულგარეთის პროლეტარიატი გულგრილათ შეხვდა გადატრიალებას. სოფლების მცხოვრებლებმა არ გაუწიეს ახალ მთავრობას დიდი წინააღმდეგობა. მხოლოდ პლევნისა და შუბენის ოლქებში გაჩნდა გლეხების შეიარაღებული რაზმები, რომლებსაც მოუღეს ბოლო სტამბულისკის მოკვლის შემდეგ.

ბულგარეთის კომუნისტური პარტია მოუწოდებს მუშებს მოემზადონ ბრძოლისათვის მუშა-გლეხურ მთავრობის დასაარსებლად. ახალ მთავრობას წელს უმაგრებს ჯარი და ფაშისტური ორგანიზაციები—კომუნისტური პარტია მოითხოვს მუშების და გლეხების შეიარაღებას.

მთავრობა კვლავ განაგრძობს კომუნისტებისსასტიკ დევნას. პლევნაში დარბეულია რამოდენიმე ადგილობრივი ორგანიზაცია, დატუსაღებულია რამოდენიმე კომუნისტი. ორეხოვიცას მთიან ადგილებში მოკლულია ორი კომუნისტი. პარტიული გაზეთზე „რაბოთნიჩესკი ვესტნიკ“ სასტიკი ცენზურა არის დაწესებული.

სხვა და სხვა.

ჭლექის აქიმობის ახალი საშუალებანი.

საექიმო საბჭომ გამოაქვეყნა ცნობა ჭლექის ახალი აქიმობის შესახებ ოსკფორდის უნივერსიტეტის პროფესორ ბრეიერის მიერ აღმოჩენილ ახალი ვაქცინის საშუალებით. ამ ვაქცინის მოქმედება შეამოწმეს ლონდონის სამხ. საავადმყოფოში.

ეტნა ცხრება.

მეცნიერების კომისია, რომელიც იკვლევს ადგილობრივად ამ მოვლენას აცხადებს, რომ ღველფი ეხლა უფრო ნაკლებათ და აღარც ისეთის სისწრაფით ამოდის. ცეცხლის ვულკანის მფრქველ მთის ნაპრალებიდან უზომო კვამლი ამოდის, რაც მეცნიერების აზრით ხსენებულ მთის დაცხრომის მომასწავებელია. დაახლოვებითი გამოანგარიშებით ამოხეთქილი ღველფის რაოდენობა უდრის რამოდენიმე ას მილიონ კუბიკურ ფუტს. ზოგიერთ ადგილას ღველფი იმდენათ განელდა, რომ შეიძლება ხელით შეეხო.

უკანასკნელი სხდომა

რეზოლიუციები

აღმასკომის ანგარიშის შესახებ.

პლენუმი იწონებს კომინტერნის აღმასკომის მოქმედებას და სავსებით მიზანშეწონილათ თვლის აღმასკომის ხაზს და ზომებს ცალკე სექციებში წარმოშობილ კონფლიქტების მოსაგვარებლად.

სარწმუნოებასთან დამოკიდებულების შესახებ.

შვეიცის კომუნისტურ პრესაში სარწმუნოების შესახებ მოთავსებული წერილების გამო პლენუმი კატეგორიულად აცხადებს, რომ სარწმუნოების დაფასება, როგორც კერძო საქმის, შეუძლია ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, მაგრამ არა კომუნისტურ პარტიას. პლენუმს დაუშვებლად მიაჩნია რელიგიურ ცრუმორწმუნოების ნაშთების დარჩენა ხელმძღვანელ კომუნისტების აზროვნებაში და საჭიროთ თვლის ანტი-სარწმუნოებრივი პროპაგანდის წარმოებას—სათანადო პროგრამის მიხედვით.

მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგის შესახებ

კომუნისტურმა პარტიებმა უნდა სძლიონ ცეხურ კარჩაკეტილობას. მათ უნდა წარმოიდგინონ თავისი თავი ხალხის უმრავლესობის ხელმძღვანელათ. ამ ხალხის უმრავლესობის დახმარება დასჭირდება პროლეტარიატს ბურჟუაზიის ბატონობის დამხობის დროს. მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგი, რომელიც საშვალებას წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად, ცხოვრებაში გატარებული უნდა იქნას ამა თუ იმ ქვეყნის პირობების მიხედვით. პროლეტარიატის გამარჯვება წარმოუდგენელია გლეხობასთან თანამშრომლობის გარეშე, ამიტომ მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგი უნდა შეიქნეს კომინტერნის ყველა სექციების მოთხოვნილება. ამ ლოზუნგის წვრილბურჟუაზიულათ გაგებას, რომელიც არავითარ ანგარიშს არ უწევს გლეხური მასის დიფფერენციაციას და ზოგიერთი პარტიების ცდას სოფლის მშრომელ მასებში რევოლიუციონური მუშაობის პარლამენტარული კომბინაციებით შესაცვლელათ, კომინტერნი დასძლევს. დასასრულ რეზოლიუცია საჭიროთ თვლის რევოლიუციონური მუშაობის გაძლიერებას სოფლის მეურნეობის მუშებში.

ფაშიზმის შესახებ.

აღიარებს რა, რომ ფაშიზმი არის კაპიტალისტური წყობილების და ბურჟუაზიული სახელმწიფოს გახრწნის დამახასიათებელი ნიშანი და ეხება რა მისი წარმოშობის მიზეზებს და აგრეთვე ფაშიზმში იდეოლოგიური და პოლიტიკური გახრწნის ელემენტების არსებობას, რეზოლიუცია ავალებს პროლეტარიატის რევოლიუციონურ ავანგარდს ხელი შეუწყონ ფაშიზმის გახრწნის პროცესს. პარტიის ყველა ორგანიზაციებმა ყოველგან უნდა მოაწყონ სპეციალური ორგანოები ფაშიზმთან ბრძოლის სახელმძღვანელოდ, სისტემატიურად უნდა აუხსნან მუშებს, რომ ფაშიზმი კლასობრივად მტრული მოძრაობაა. ამ ორგანოებთან უნდა მოეწყოს პროლეტარიატის შეიარაღებული თავდაცვის რაზმები, სადაც თავი უნდა მოეყაროს ყველა მუშებს განურჩევლად პოლიტიკური მიმართულებისა; ფაშისტური მოძრაობის ინტერნაციონალური ხასიათი მოითხოვს ინტერნაციონალური კომიტეტის შექმნას, რომელმაც უნდა მოაწყოს საერთაშორისო გამოსვლები ფაშიზმის წინააღმდეგ; მუშების ინტერნაციონალურმა კომიტეტმა პირველ რიგში უნდა ჩაწყოს იტალიის ფაშიზმის წინააღმდეგ პროტესტების, დემონსტრაციების და [illegible] იტალიის პროტესტის კამპანია; რეზოლიუცია მოუწოდებს [illegible] მუშებისათვის, რომ იტალიის [illegible] ელის მთელ მუშათა კლასს, თუ ის მტკიცე რევოლიუციონური ბრძოლის საშუალებით არ შეუშლის ხელს ახალი ფაშისტური ორგანიზაციების შექმნას და ფაშისტების ბანაკში შეუგნებელი ელემენტების გადასვლას.

რუსეთ-ინგლისის კონფლიქტის შესახებ.

რუსეთ ინგლისის კონფლიქტის მიმდინარეობიდან აღმასკომი ხედავს, რომ ინგლისის იმპერიალიზმი ცდილობს გამოიყენოს ყოველგვარი შემთხვევებში პირველი მუშურ-გლეხური მთავრობის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. საბჭოთა რუსეთის ძლევა-მოსილების გაძლიერება, მისი გამოსვლა მსოფლიო ბაზარზე, საბჭოთა მთავრობასა და მშრომელ მასებს შორის კავშირის განმტკიცება და კომუნისტური პარტიის გავლენის ზრდა აქარწყლებენ იმპერიალისტების იმედებს რუსეთის მსოფლიო კაპიტალისათვის დამორჩილების შესახებ. საბჭოთა რუსეთის გავლენის ზრდა აღმოსავლეთის გამოღვიძებულ ერებში, აიძულებს ინგლისს იფიქროს რუსეთის ინგლისის ვასალათ გადაქცევაზე ან გამოიწვიოს ის საომარ მოქმედებაზე. ესალმება რა საბჭოთა მთავრობას, კომინტერნის აღმასკომი სიხარულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ მშრომელმა მასებმა ასე ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი თავის მთავრობას. აკრავს რა სამარცხვინო ბოძზე მეორე ინტერნაციონალის ბელადებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს მსოფლიო იმპერიალიზმს, კომინტერნი მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშებს უფრო მტკიცედ დაუჭირონ მხარი საბჭოთა მთავრობას. მშრომელმა მასებმა ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ ახალი ომის საფრთხე და მზად უნდა იყვნენ საბჭოთა რუსეთზე თავდასხმის ყოველი ცდისათვის ხელის შესაშლელათ. აღმასკომი მოუწოდებს აღმოსავლეთის ყველა ერებს შემოკრბენ საბჭოთა რუსეთის დროშის გარშემო, ვინაიდან საბჭოთა რუსეთი მტკიცედ იცავს აღმოსავლეთის დაჩაგრული ერების ინტერესებს.

ამხ. ვოროვსკის მოკვლის შესახებ

აღმასკომი ღრმა მწუხარებით იგონებს ამხ. ვოროვსკის, რომელიც დაეცა ფაშისტ ბანდიტის ტყვიით განგმირული და მოუწოდებს მთელი ქვეყნის პროლეტარიატს მიიღონ ზომები თავისი ბელადების დასაცავად. აღმასკომი მოაგონებს მიძინებულ კლასებს, რომ ის დაიხსომებს ბურჟუაზიის ძალადობის ყოველ აქტს და მას თავს დაატყდება წითელ ტერორის რისხვა.

თამარ მეფის მეხოტბენი

(გაგრძელება)

Terminus ante guem non é terminus post guem non.

1681 წელს არჩილ მეფე სწერს („არჩილიანი“) „ომნი და მის (=შოთა რუსთაველის) დროს საქართველოს დიდებულთა ნაქნარნი სახელოანი, რომელი სწერია ცხოვრებასა შინა საქართველოსასა ვრცელად, აწ შემოკლებით ითქვა ლექსად სხვა დიდებულებას „ქართველთ ცხოვრება „მოგვითხრობს“.

ამის შემდეგ არჩილი სწერს თამარის ომებს, რომელთა მონაწილე ყოფილა შოთაც. ცხადია, შოთა არჩილს მიაჩნდა თამარის **თანამედროვედ**. ამ გვარადვე მას თანამედროვედ თამარისა მიაჩნდეს „მეორე“ მწერალიც, ავტორი „თამარიანისა“, რომელსაც ის სთვლიდა „ვეფხის ტყაოსანზე“ ადრე დაწერილად. არჩილის ესეთი აზრი მისაღებია. რადან „თამარიანში“ გალექსილია თამარ-დავითის სრული ნამოღვაწევი ქრონოლოგიურ რიგზე (იხ. ჩვენ—მიერ დალაგებული ტექსტი ამ თხზულებისა), ამიტომ მისი დაწერა დასრულდებოდა არა ადრე 1207 წლისა, როდესაც მოვიდა დავით სოსლანი, და რადგან ავტორი იყო თამარა დავითის თანამედროვე, თავის თხზულებას გამოაქვეყნებდა თამარის სიკვდილამდე, დაახლოვებით იმავე 1207 წლებში.

რაც შეეხება „ვეფხის-ტყაოსანს“, მისი წერა ჩვენის ფიქრით, უნდა დაწყებულიყო დღიდან „გულის“ გაჭრისა (ხ. 16) და გათავებულიყო შემდეგ ავთანდილის დაბრუნებისა „არაბეთს“, ხოლო გამოცხადებულ-გამოქვეყნებულიყო, თამარის ნებართვით (ხ. 16), სოსლან-დავითის სიკვდილის შემდეგ თანახმად შოთას განცხადებისა (ხ. 1574). რომ მას „დავითის ქნარი“ უკვე ეთქვა.

ავქსონი, ალბად, ნება-რთვის დასტურს არ ეჩქარებოდა, რადგან თვითონვე ხედავდა, რომ მისი თხზულება ჭოჭმანს გამოიწვევდა (ხ 16), მაგრამ როდესაც თამარმა მისწერა თვისი ასპარეზი და ავქსონმაც გამოსცა მისი სადიდებელი „თამარიანი“, მაშინ „ვეფხის-ტყაოსნის“ გამოქვეყნების ნებართვაც მიიღო. ასეთს ჩვენს მოსაზრებას, ვიმეორებთ, ადასტურებს თვით ავტორის სიტყვებიც (ხ. 16): „ლექსად გარდავითქვი... საქმე ვქმენ საჭოჭმანები: ჩემმან ხელმქმნელმან დამმართოს, ლალმან და ლამაზმან, ნები“.

თუ ეს სიტყვები დასტურს არ გამოხატვენ, იმას კი ამტკიცებენ, რომ ავტორს თავისი თხზულება უკვე გალექსილი ჰქონია „ლაღ და ლამაზ“ თამარის ჟამს და დაიმედებულიც ყოფილა, რომ ეს „ლაღი ლამაზი“ ნებას დართავს ავტორს გამოაქვეყნოს „საჭოჭმანები“ თხზულება.

2. აქვე შეგვიძლია ვიკითხოთ, რა აიძულებდა შოთას გასცლოდა სამშობლოს და წასულიყო იერუსალიმს.

რავდენად შოთა ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა თამარ მეფეს, იმდენად შესაზარი შეიქმნებოდა მისთვის ლაშას კარს ყოფნა. ამ მეფემ თვითონ თავის უმზგავს ცხოვრებით შემოიფანტა თავისი დედის თანამოსაგრენი. მემატიანე იუწყება (გვ. 341):

„განაშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და დედისა წესთა მასწავლელნი, შეიყვარნა თანა-მოჭასაკენი მოსმურობათა და დედათა უწესოთა თანა-აღრევითა, რომელ ესეოდენ უსახურებად მიიწია: ოდესმე მსმელი ფრიადისა ღვინისა ტფილისს მყოფი წარიყვანეს რაინდთა თანა, რათა მუნ განიძღოს სიბილწე, თვისი, ხოლო რაინდნი, მეფისა მისვლისა არ-მგონებელნი და ღვინით უცნობო-ქმნილნი, ზედა მიედევნეს და ძლიერად გვემეს, ვიდრე მე ერთი თვალი მარჯვენე ხედვისაგან დაავლეს. ამისნი მცნობელნი თავადნი საქართველოსანი ფრიად მწუხარენი განეყენებოდენ დარბაზს ყოფისაგან“.

ასე დახასიათებულია ლაშა განჯაზე 1263—4 წლის გალაშქრების შემდეგ. მაშასადამე, ვფიქრობთ ჩვენ, დიდი მოველე შოთაც, მოლარე თუ მოლარეთ უხუცესი, ლაშას კარს განეყენებოდა დაახლოვებული 1215 წელს და ამავე ხანებში გაუდგებოდა იერუსალიმის გზას.

3. ბოლოს აღვნიშნავთ პოემის ერთ ადგილს, რომლის ჩვენ მიერ გაგება თუ მისაღები გამოჩნდა, შეგვეძლება დაახლოვებით გამოვიანგარიშოთ შოთას წლოვანებაც. ეს ის ადგილია, რომელიც, ჩვენის ფიქრით, პოეტს გვისახავს თანამედროვედ მისმიერ „ქვემორე, ე. ი. პოემაში შექებილ (ხანა 26) თამარის სიმეტე თინათინისა.

თინათინის მამა როსტევანი რომ გამოუდგა ტარიელს დასაჭერად (ხანები 92—96), იგი მოახტა თავის შავ მერანს და მეფისა და მის ამალის თვალწინ გადაიკარგა, გაუჩინარდა. ამის შესახებ ავტორი ამბობს (ხ. 97): „მასვე წამსა გადიკარგა,—არ უნახავს **თვალსა ჩვენსა**“. ქვე-გახაზული სიტყვების მიხედვით ჩვენ გვგონია, თვით შოთაც უნდა რეულიყო მეფის ამალაში რომ სწერს ვით თვალითმხილველი: „არ უნახავსო თვალთა **ჩვენსა**“.*)

ზევით, შოთას ქორონიკონების გამოანგარიშებამ დაგვანახვა, რომ ტარიელი უნდა მოსულიყო „არაბეთს“ 1179 წელს. ამავე წელს, როგორც უკვე ვიცით, თინათინის სიმეტე თამარი მისმა მშობელმა გამოაცხადა მეფედ. მაშასადამე, დავასკვნით ჩვენ, თუ შოთა იყო ტარიელის თვალით მხილველი, იგი ამ დროს უკვე იქნებოდა სახელგანთქმული პოეტი, 20—25 წლისა მაინც.

მაშასადამე დაიბადებოდა დაახლოვებით 1154-1159 წელს და აქედან კი 1215 წლამდე იგი იქნებოდა 56—61 წელისა, რაც ამართლებს ტიმოთეს სიტყვას (იხ. ზემო „ვინმე „მესხი“-ს, რომ შოთამ იერუსალიმის ტაძარი მოახატვინაო და თვითონაც მის კედელზე ჰხატიაო **მოხუცებული**. ალბად მან 65 წლამდე მიაღწია თავის ბედნიერ შობათაგან და ამ 65 წლის განმავლობაში შვენიერებით აღავსო პოეზიით მორთული თავისი ცხოვრება.

4 შოთას თანამედროვე მწერლები

„ვეფხის-ტყაოსნის“ 1576 ხანაში მოხსენებულია მოსე ხონელი, შავთელი და სარგის-თმოგველი როგორც შოთას წინა-ხნის, მაგრამ თამარისავე დროის ცნობილი მწერლები.

„ამირან-დარეჯანიანი“. ეს თხზულება ბოლოვდება სიტყვებით: „აჰა დასრულდა წიგნისა ამისა თქმულება მოსე ხონელის მიერ ნასიტყვენი თამარ მეფის დროს საკაცობრიო და სამხედრო ამბავნი“. ამ თხზულების გმირს ამირანს მის მეუღლე ხვარეშინითურთ ქ. ცხოვრება (284) იხსენიებს ჯერ ისევ 1185 წელს. მაშასადამე ამ წლამდე იგი უკვე დაწერილი და გავრცელებული იყო საქართველოში.

„აბდულ-მესიანი“, თხზულება იოანე შავთელისა, რომელიც იყო თანამედროვე თამარისა, კაცი „ფილოსოფოსი, რიტორი, ლექსთა გამოთქით“ იხ. ზემო).

„დილარიანი“. შოთა სწერს: „დილარგეთ (უქია) სარგის თმოგველისა“. აქ იგულისხმება ის სარგისი რომელიც თამარის ბრძანებით დალოცეს 1191 წელს და რომელსაც მისცეს თმოგვი. ქ. ცხ (297).

ბაქრაძე სწერს „ამ სარგის თმოგველს მიაწერენ „ვისრამიანს“ (ვახუშტი, ისტ., 204, შენა 2 აქ ბაქრაძე იმეორებს უმანდელ ქართულ გადმოცემას, რომ „დილარიანის“ ავქსონის სარგის თმოგველის მიერ უნდა იყოსო სპარსულიდან გადმოთარგმნილი თხზულება „ვის-რამიანი“.

ალ. იოსელიანი სწერს (წყობ. 803, შენ.“:

„სარგის თმოგველმა, რომელიც ცხოვრობდა 1190 წელს, აღწერა წიგნი „დილარიანი“.

ამ „დილარიანის“ გმირს **დილარგეთს** იხსენიებს „ჩახრუხაძის“ „თამარიანიც“, რომელიც, როგორც უხვე ვსთქვით (იხ. ზემო „თამარიანი“), უნდა გამოქვეყნებულ იყო 12[illegible]7 წლებში. მაშასადამე, ამაზე ადრე უნდა დაწერილიყო თვით „დილარიანი“, რომ მისი გმირი დილიარგეთი ნახსენებია ჩახრუხაძისად თქმულ 1207 წლებში გამოქვეყნებულ „თამარიანში“. საგულისხმოა, რომ ავტორს („ჩახრუხაძეს“) აქ „დილარგეთი და თამარი უხსენებია ერთად ერთსა და იმავე ხანაში, ასე (ხანა 5—77):

„მოუბარისა მის მდუღარისა
დილარგეთისგან აღშფოთებულად,
: : : :
ე გულის ნებო, მზეო ინებო:
თამარ სჩანს შენად რუსხა მკლებულად!“

ეს სავსებით ცხად ჰყოფს, რომ „დილარგეთის“ ავტორი სარგის თმოგველი ცხოვრებულა 1207 წლის წინა დროს, მაგრამ იმავე თამარ-დავითის ცხოვრების ჟამს.

კითხვის სავსებით ამოსაწურად აქ იძულებულ ვართ შევეხოთ ს. კაკაბაძის ამბის შესახებ იმისა, რომ, ვითომ, დილარგეთის ავტორი სარგის თმოგველი ყოფილიყოს მე-VIII საუკ. მწერალი, ხოლო შოთა რუსთაველი მის შემდეგი დროისა, მე-XIV საუკუნის მეორე ნახევრისა (იხ. მის-მიერ გამოც. ვეფხის ტყაოსნის წინასიტყვ. გვ 37,38,40). მაგრამ არ ვიცით, რატომ იგივე კაკაბაძე არ უწევს ანგარიშს თავის-მიერვე **1192—1205** წლებში დაწერილად აღიარებულ ჩახრუხაულ ქებას (თამარიანს), რომლის მე-5 ხანაში, მოხსენებულია, როგორც ზემო-აღვნიშნეთ, სარგისის მიერ შექებული „დილარიანის“ გმირი დილარგეთი და მოხსენებულია არა ცალკე, არამედ თამარ მეფის შემდეგ“ (იქვე 38), მაშ რომელმა სარგის თმოგველმა აქო

*) იხ. ამის შესახებ „შოთა რუსთაველი“ (ჩვენი გამოც. 1896, გვ. 76).

ახალი ამბები

— **სახალხო სახლის დეკეთება**. ტფილისის აღმასკომმა მოისმინა რა მრხსენება პოლიტ-განათლების ქვე განყოფილებისა ქალაქის სახალხო სახლის შესაკეთებლად, ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად 2.404 მან. 92 კაპეიკი. ორქოთი მიცემის შესახებ, დაადგინა ხარჯთ-აღრიცხვა გადაეცეს კომუნალურ განყოფილებას და წინადადება მიეცეს ტეხნიკურ კომისიის საშუალებით და ადგილობრივი დათვალიერებით შეამციროს ხარჯები, რამდენათაც შესაძლებელია, ამ ჟამად აუცილებელ შეკეთების ხარჯების დატოვებით.

— **უძრავ ქონებათა სამართველო.** ტფილისის უძრავ-ქონებათა სამმართველოს გამგეთ დაინიშნა ამხ. იტრიევი.

— **ცოფიანი ძაღლები.** ტფილისის აღმასკომმა დაადგინა სამი თვით შემოიღოს ცოფიან ძაღლების დამჭერი პუნქტი.

— **მტკვარზედ გადასარჩენი პუნქტი.** აგრეთვე შემოწმებულ იქმნა მტკვარზე გადასარჩენი პუნქტი.

— **შრომის სასამართლოების.** საკონფლიქტო კომისიები გაუქმებულია თანახმად მთავრობის დადგენილებისა. მის მაგიერ დაარსდა შრომის სასამართლოები რომლის თავმჯდომარეთ დანიშნულია ამხ. სურგულაძე და წევრათ ამხ. ამიროვი.

— **სახელმწიფო მომარაგებაზე გადაყვანა.** ჯანმრთელობის კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა, რათა სახელმწიფო მომარაგებაზე გადაყვანილ იქმნას ჯანმრთელობის კომისარიატის ის მოხელენი, რომელნიც დეკრეტის ძალით გადმოყვანილნი არიან ადგილობრივი თანხებზე.

— **მეტროლოგიური სადგური.** გაიხსნა მეტეოროლოგიური სადგური ხულოში, ქედაში და გონიაში ჰავის გამოსარკვევათ.

— **საქონლის ჭირი.** ხულოში გაჩენილა საქონლის ჭირი.

— **მისაბაძი მაგალითი.** აჭარისტანში ფინანსიურ კითხვების მომწესრიგებელ ტეხნიკურ კომისიის დადგენილებით წინადადება მიეცა კომუნალურ მეურნობის განყოფილებას, რათა ყველა კლუბებს და სამკითხველოებს, რომლებიც იმყოფებიან ბათომში აძლიოს სუბსიდია.

— **ზეთის გაგზავნა.** 19 ივნისს ბათომიდან გემი „მიტილიუსით“ ჰამბურგში გაიგზავნა 154325 ფუთი მანქანის ზეთი.

— **ჩაი.** 9 ივნისამდე ჩაქვაში შეიკრიფა 350 ათასი გირვანქა ჩაი კარგი ხარისხისა.

— **ვაჭრობა რუსეთთან.** ცენტრო კავშირი გზავნის მოსკოვში მატყლის დიდ პარტიას.

— **გემის მოსვლა.** ბათომის ნავთსადგურში მოვიდა ამერიკიდან დიდი გემი ტვირთით „აზნეფტისთვის“.

— **ე. ნინოშვილის ძეგლი ზღვის ნაპირას.** ამ დღეებში ქ. ქობულეთში ზღვის ნაპირას დაიდგმება ბელეტრისტ ე. ნინოშვილის ძეგლი.

— **ბათომში—თავისუფალი ნავთსადგური.** აჭარის საბჭოს მთავრობამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ცენტრის წინაშე ბათომში თავისუფალ ნავთსადგურის დაწესების შესახებ.

— **შავი ქვის ექსპორტი.** საზღვარ გარეთ გაიზიდა 1,805065 ფუთი შავი ქვა (მარგანეცი).

— **სიკვდილით დასჯის შესახებ.** სიკვდილით დასჯის დასტურის უფლება ენიჭება მხოლოდ უზენაეს სასამართლოს, მხოლოდ პატიება კი ცაკის პრეზიდიუმს.

— **მოხალისე ფლოტის განყოფილება სპარსეთში.** მოხალისე ფლოტის ამიერ-კავკასიის განყოფილება აწყობს სპარსეთში თავის განყოფილებას.

— **რუსეთის მანუფაქტურა და შაქარი.** ბოლო ხანს რუსეთიდან მოდის მანუფაქტურა და შაქარი, სამაგიეროდ კი მიაქვს ღვინო, თხილი, მატყლი და სხ.

ის დილარგეთი, რომლის შესახებ „**1192—1205 წლებში**“ ლაპარაკობს ჩახრუხაძე? თხზულება ავტორზე ადრე ხომ ვერ დაიბადებოდა!

ამნაირივე უხამსობაა კაკაბაძის-მიერ გამოქვეყნებულ „ვეფხის-ტყაოსნის“ 1761 ხანაში, რომელიც გამომცემლის სიტყვით (გვ. 37) „მოიპოვება პირველს რედაქციაშივე, პოემის პირვანდელ ტექტს უნდა ეკუთვნოდეს, თუნდაც რომ ის ყალბი იყოს.., მაინც ფრიად ძველი გადმოცემის შემდგენია და ამიტომ ფრიად საყურადღებო“. აი თვით ეს „ფრიად საყურადღებო“ ხანაც:

“ამირან-დარეჯანისძე მოსეს **აქებდა** ხონელსა
აბდულ-მესია შავთელსა...
დილარგეთ სარგის თმოგველსა...
ტარიელ მისსა რუსთველსა...
(ხანა 1761).

გამომცემელი რომ დაკვირვებოდა, ადვილად შენიშნავდა, რა უხამსობას ღაღადებს აქ ძველი დროის მოცლილი კალმოსანი, როდესაც აცხადებს, რომ მოსე ხონელს-კი არ შეუქნია ამირან დარეჯანი, არამედ თურმე სხვა „თხზულებებიც“ აქებდნენ თავიანთ ავტორებს, „აბდულ მესია“ შავთელს, „დილარგეთ“ ს. თმოგველს, „ტარიელ“ რუსთველს! რა ფასი აქვს ამისთანა უსუსურობას, ამისთანა „პირველ რედაქციას“, რომელიც, ს. კაკაბაძის სიტყვით (იქვე, გვ. 36), თურმე „თვით რუსთველს ეკუთვნის“?

ამაზე უმდარეა იმავე კაკაბაძის „ყოველ დღიური ცხოვრების ნორმების განზომვაც“ (გვ. 36). ამ „განზომვას“ ანდერძი აუგო ჯერ ისევ ივ. ჯავახიშვილმა თავის მტკიცე საძირკვლიან შრომის „ქართველ ერის ისტორიის“ მეორე წიგნის შენიშვნაში (გვ. 662), სიტყვებით: „ბ. ს. კაკაბაძე თავის „ვეფ. ტყაოსნის“ გამოცემაში შოთა რუსთაველის დროის შესახებ ძველ შეხედულების დარღვევას ლამობდა და ამტკიცებდა, რომ დიდებული მგოსანი XV საუკუნეში ცხოვრობდა (იხ. გვ. 50). ის ვითომ ცდა საისტორიო საბუთები, რომელიც ხუხულასავით აგებული აქვს ავტორს, უმეტეს შემთხვევაში სრულებით საძიებელს საგანს არ ეხება და უმთავრესად „ვეფ. ტყაოსნის“ ყალბ ხანებზე არის დამყარებული, რომელთაც **არავითარი ღირსება არა აქვთ**“. ამის შესახებვე იხ. ქვემო „რეალიები ვეფხის ტყაოსანში“.

მ. ჯანაშვილი.

— **გაზ. „მწვერვალი“.** ტფილისში გამოვიდა ახალი ყოველ-კვირეული „მწვერვალი“ დ. კასრაძის რედაქტორობით.

— **ავადმყოფ ცნობილ ანარქისტ-კომუნისტს** კამანდო გოგელიას დაენიშნა 50 მანეთი თვიურად ჩერვონეცით და ერთდროულათ 100 მილიონი მანეთი. აგრეთვე ზღვის ნაპირას მიეცება მას სამკურნალოთ ერთი ოთახი.

— **რეგისტრაცია.** ტფილისში გაიმართა ქალაქში მცხოვრებთა საექიმო-მსახურთა რეგისტრაცია. სულ აღმოჩნდა: სპეც-ექიმი 705; კბილის 278, ფარმაცევტი—455, ბებია-ქალი და ფელშერიცა—167, აკუშიორი—208, ექიმის თანაშემწე—253, მოწყალების დები—197.

— **უძრავ ქონებათა სამმართველო.** ტფილისში დაარსდა უძრავ-ქონებათ სამმართველო.

— **აღმასკომის წევრები.** ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმს დაევალა გამოიყენოს პრაქტიკულ მუშაობაში აღმასკომის ყველა წევრები.

— **მოსკოვი და პარიზი.** 25 ივნისს რუსთველის თეატრში ცნობილი რეჟისორი ევრეინოკმა წაიკითხა საყურადღებო მოხსენება თანამედროვე პარიჟზე და ვასილი კამენსკიმ კი თანამედროვე მოსკოვზე.

საზოგადოება ბლომათ დაესწრო.

— **საქონლის ბირჟა.** საქონლის ბირჟის მდგომარეობა 26 ივნისს შემდეგ ნაირათ იყო: ყუბანის ხორბალი იაფდება, ძვირდება სიმინდი, თეთრი ქბილი და ადგილობრივი ხორბალი.

საავალიუტო ბირჟა. 26 ივნისს ოფიციალური კურსი ჩერვონეცი—13,450 ათ., გირვანქა სტერლინგი—14,750ათ., დოლარი—3,450 ათ., ოსმალური ლირა—2,385 ათ., ფრანკი—170 ათ.

15 ივნისს ა. წ. ტფილისის სადგურზე სტუდენტმა გიორგი გრიკოლის-ძე ხაჩატუროვმა დავკარგე დოკუმენტები 1) პირადობის მოწმობა, მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ; 2) სიღარიბის მოწმობა, მოცემული შორაპნის მასრის მილიციის მიერ და 3) სიღარიბის მოწმობა, მოცემული შორაპნის მაზრის აღმასკომის მიერ **ვაცხადებ გაუქმებულად.**

— **მეეტლების ბოროტ-მოქმედება.** ვინაიდგან მეეტლები სასაკლაოზე რჩებიან უზედამხედველოდ და აფუჭებენ ცხენებს, წინადადება ეძლევა სასაკლაოს დირექტორს და ზედამხედველს სასწრაფოდ გადასახლდნენ სასაკლაოზე.

— **თუთუნის ნაწარმოები.** ტფ. აღმასკომმა მოისმინა რა „ტაბტრესტის“ შუამდგომლობა, რათა მათ გადაეცეს თუთუნის ნაწარმოების ყოფ. შენობები „ლევ“ და „სლონი“ შენობა „ლევ“ თხოულობს კაპიტალურ რემონტს, რასაც იღებს თავის თავზე „ტაბტრესტი“, შენობა „სლონი“ დროებით გადაცემული იყო „ტაბტრესტის“ მიერ „გოსტორგისთვის,“ დაადგინა; მიენდოს საბჭოთა სახლების სამმართველოს შეჰკრას ხელშეკრულება საფინანსო განყ. ერთად.

— **მუშათა სახლების ნგრევის შესახებ.** ტფ. აღმასკომა დაადგინა წინადადება მიეცეს ამხ. იტრიევს პირველ რიგში გაარჩიოს საკითხი მუშ. სახლ. ნგრევის შესახებ.

— **სამხედრო პირები.** სამხედრო პირები იხდიან ბინის ქირას იმ კატეგორიით რაგორც ღებულობენ ისინი მხოლოდ ჯამაგირს

— **ვენერიულ ავადმყოფობის წინააღმდეგ.** ვენერიულ ავადმყოფობათა ზრდამ კატასტროფიული ხასიათი მიიღო კაცობრიობის ამ საშინელ უბედურების წინააღმდეგ საბრძოლველად ტფილისის აღმასკომმა გახსნა ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოში (პუშკინის ქ. № 10) ვენერიული განყოფილება, სადაც ექიმობას აწარმოებენ თანამედროვე მეთოდებით და აქვს საკმაო რაოდენობა ერლიხას (914) პრეპარატებისა. ექიმობა და წამლობა ყველასათვის უფასოთ.

განყოფილებები არსებობს აგრეთვე ავლაბარში (კახეთის ქ. № 2), ხარფუხში (სუმბათოვის ქ. № 10) და ვერაზე ოლღას ქ. № 35).

მოქალაქენო, გახსოვდეთ, რომ ათაშანგი (სიფილისი) თუ მას უაქიმებთ არ არის საშიში, უაქიმობას კი მოსდევს ადამიანის დაღუპვა. ათაშანგიც რჩება და მით უფრო მალე და ადვილად, რაც ადრე იქნება დაწყებული მისი აქიმობა.

დატეხილი აღსარება

(მ—დ—ს.)

როცა თვალები მზეს შევაგებეთ,
როცა ტოფანი მზეს იზიდავდა,
მე, ვით პაოლომ ფარშავანგებით
გზა ავაჭრელე ქალაქის თავთან;

მაშინ დაიწვა სულის კიოსკი.
მზემ უხურუშმ ბევრი იწვალა
ღამეც წავიდა საიქიოსკენ
და შენმა გულმაც ფერი იცვალა.

ამომეტუზა მე ლანდი შენი,
როგორც მედუზა და მიზანტროპი,
როცა ზამთრობით მაქვს ახალშენი
და თითზე შანი მზის დასათრობი.

როგორც იროდის, მთვარე მაბრაზებს,
როს წითლად მოდის და ახრჩობს ხალისს.
ვლოცულობ შენზე თან ვხედავ ამ ფრაზებს,
ვით კლავიშებზე თითები ქალის.

ალბათ გიზიდავს ცეცხლი ვაჟების
როგორც იზიდოს ეგვიპტის რჯული,
გადარუჯული ცა მირაჟების,
მონა პაჟების მზერა გურჯული.

ო, მეც ვარ ცეცხლი თუ გსურს გაივაც,
მსურს შენს სიწმინდეს ცეცხლი დაუხთო;
მაგრამ იცოდე მაგ თვალთ აივანს
ვერავის მივცემ, ვერვის დაუთმობ.

პიერ კობახიძე.

გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტების არჩევნების კამპანიის ჩატარება სოფლად

24 ივნისს, 1923 წ. საღამოს 7 საათზე, შესდგა საზოგადო კრება გლეხებისაგან სოფ. წავკისის და ოქრო-ყანის, რომელზედაც კრების თავმჯდომარეთ იყო არჩეული ვანო მგლოველი და მდივნათ დოლიძე. მოხსენება გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტის შესახებ გააკეთა სოც. უზრუნ. კომის. წარმომადგენელმა პ. ჩიქოვანმა, რომელმაც დეტალურად აღნიშნა აღნიშნული კომიტეტის დაარსების საჭიროება. მოისმინა, რა მოხსენება ყრილობამ მიზანშეწონილად სცნო დაარსდეს გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტი, რომელშიდაც არჩეულ იქმნა: სოფლის კომიტეტში 10 კაცი, სარევიზიო კომისიის წევრად სამი კაცი, სათემო კომიტეტის წარმომადგენელად 2 კაცი. კომიტეტის არჩევნების შემდეგ კრების მიერ გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. პ. ჩიქოვანის მიერ გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტის დაარსების შესახებ, სავსებით ვიზიარებთ მომხსენებელის წინადადებას და აღუთქვამთ სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, რომ მთელი ძალ-ღონით და ენერგიით ხელს შეუწყობთ აღნიშნულ კომიტეტის მუშაობას“.

პარტიაში

ხუთშაბათს, ივნისის 28, საღამოს 7 საათზე ცენტრალურ ბიუროში დანიშნულია მეოთხე რაიონულ ორგანიზაციის წევრების **საერთო კრება** (1, 2 და 3-მე უბნის) ტფილისის კონფერენციისათვის დელეგატების ასარჩევად.

მოვალენი არიან პარტიულ დისციპლინის ძალით აღნიშნულ დროზე გამოცხადდენ ყველა პარტიული ამხანაგები

რაიკომის მდივანი: **სირაძე.**

ოთხშაბათს, ამა ივნისის 27, საღამოს სრულ 7 საათზე, პარტიის ცენტრალურ ბიუროში (ლორის მელიქოვის ქ.) დანიშნულია მემარცხენე სოც.-ფედ. მბეჭდავ მუშა-მოსამსახურეთა ფრაქციის კრება. განსახილველია მომავალი კონფერენციის საკითხი. ამხანაგებს ვსთხოვთ აუცილებლივ გამოცხადდენ აღნიშნულ დროს.

ფრაქციის მდივანი: **აკ. სირაძე.**

სოფ. საგვაზავო (აბაშის თემი, სენაკის მაზრა) სოფ. საგვაზავოში ეხლახან დაარსდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის იაჩეიკა (თანახმად რაიონულ კომიტეტის დადგენილებისა ივნისის თარიღით 1923 წ. ყველა სოფლებში უნდა მოეწყოს იაჩეიკები პარტიული მუშაობის გასაძლიერებლად.) იაჩეიკა შეუდგა ენერგიულად მუშაობას. იაჩეიკის წევრები დაუღალავად განაგრძნობენ მუშაობას, მათ მიზნათ დაისახეს ფართოდ გააშუქონ მემარცხენე სოციალისტ ფედერალისტთა პარტიის პროგრამა მშრომელ მასაში. იაჩეიკის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. პ. გვაზავა პასუხისმგებელ მდივნად ამხ. გრიშა რუხაძე.

იაჩეიკამ მიზნად დაისახა თვალ-ყური ადევნოს ყოველივე უსამართლობას და იბრძოლოს მისი წინააღმდეგ, აქ მე მინდა შევეხო ზოგიერთ ბნელ ელემენტებს რომლებიც დაწანწალობენ ხალხში და წამლავენ ატმოსფერას. ეს სოფელი, საბჭოთა ძალაუფლების დამყარების შემდეგ ირიცხება შემჩნეულ სოფლად—კონტრ-რევოლიუციონერთა ბუდეთ, რადგანაც აქ დაარსდა იაჩეიკა, ამ ზოგიერთ ვაჟბატონებს აეშალათ საღერღელი და დაიწყეს წანწალი ხალხში, ავრცელებენ ყოველგვარ ჭორებს.

ეს ვაჟბატონები, ყოველგვარ ზომებს მიმართავენ ოღონდ იაჩეიკა მოსპონ ამ სოფელში. ვურჩევ ასეთ ვაჟბატონებს ჩადგენ თავიანთ ქერქში და ქედი მოიხარონ მუშურ-გლეხურ მთავრობის წინაშე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოუათ ის, რაც ზოგიერთ პროვოკატორებს მოუვიდათ, რომლებმაც იგემეს.

სუსხი მუშურ-გლეხურ დიქტატურისა. იაჩეიკას მოსდის ცნობებიც მათი ბნელი საქმების შესახებ, მაგრამ მუშურ-გლეხური მთავრობა იმდენად სულგრძელია, რამდენადაც დიდია მისი გავლენა ხალხში, და ბოლოს იაჩეიკა ხმას იმაღლებს ანტანტის უსამართლო ნოტების შესახებ, გვერდში უდგება საბჭოთა მთავრობას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებ უსამართლობის წინააღმდეგ კომუნისტებთან ერთად.

სევდ.

„ფურცლები დღიურიდან“

(გაგრძელება).

7 თებერვალი, 1907 წ.

ზოგჯერ მე მეტად ვიტანჯები... და ეს ხდება მაშინ, როდესაც მე აშკარად ვხედავ ცხოვრების შეუფერებლობას და მწვავედ ვგრძნობ იმას, რომ უმრავლესობისათვის გაუგებარი და მიუწდომელი ვარ... ჩემს და საზოგადოების შორის ჩამოვარდა მტრობა და სიძულვილი, თუმცა მე თვითონ სრულიად არ მინდოდა ეს... ასეთი განწყობილება მუდამ მაწუხებდა მე, მაგრამ მისი გამოსწორება შეუძლებელი იყო: მე ვერ შეეურიგდი ამ ცხოვრებას, რომელსაც საზოგადოება ემორჩილებოდა... და ცხოვრების დაუცხრომელი მტერი—გავხდი ძალაუნებურად მტერი მისი მონებისა!.. მაგრამ, ამავე დროს, მე მიყვარდა მთელი ქვეყნიერება და სულით და გულით ვეტრფოდი კაცობრიობას: მე მუდამ მსურდა სიკეთე და მინდოდა ყველასთვის კარგი: ჩემმა გულმა არ იცოდა არასდროს შური და სიბოროტე, მაგრამ კაცობრიობა არ წარმოადგენს ჯერ ერთნაირს და ერთსულოვანს მთლიანს სხეულს, არ არის ჯერ გამსჭვალული იგი ერთი მისწრაფებით.. მას არ მიუხწევია ჯერ იმ სიმაღლემდის, სადაც ყოველი პიროვნება განიცდის სრულ-ყოფას და ჰეშმარიტ ადამიანად ხდება; სადაც ადამიანთა საზოგადოებას ახასიათებს ერთი აზრი, ერთი გრძნობა და ერთი მისწრაფება; სადაც არ არსებობს შეუთვისებლობა და წინააღმდეგობა; სადაც თავისუფლება და ნება-უფლება ერთის არა ჰზღუდავს მეორისას... სადაც სუფევს ჰარმონია!..

მე ვიტანჯები მით, რომ უკვე განვიცდი მას, რაც სხვისთვის მიუღებელი და გაუგებარია; მით, რომ მე უკვე გავსწყვიტე კავშირი ამ ცხოვრებასთან და დავშორდი ადამიანებს; რომ მე საზოგადოების გარეშე დავრჩი და სულ მარტო ვარ... მარტო... სულ მარტო!.. მე განვიარე საუკუნოები და განვსჭვრიტე მომავალი... დაწინაურებული მე ვიყურები მეტად შორს და ვსცხოვრობ იქ, სადაც ჯერ არ არის ნამდვილი ცხოვრება... იქ ჯერ არა აქვს ადგილი ადამიანს, რადგან იქ აღწევს მხოლოდ მისი მძლავრი გონება და სული! ასეთ წუთებში მე ვიტანჯები მეტად და ვგრძნობ, რომ სრულიად მარტო ვარ... მძიმე და შავი ფიქრები აწყდება მაშინ ჩემს გონებას და როგორც აღელვებული ზღვის ტალღები სალი კლდეზე შახეთქებული, ჰორღნის მას, აშფოთებს და მოუსვენრობას ჰგვრის... სწუხს მაშინ და იტანჯება ჩემი სულიც მღელვარე და ეჭვებით სავსე... ოჰ, რა ძნელია მარტოობა; სულის მარტოობა! რა რიგ გწყურიან მაშინ ადამიანი; ნამდვილი ადამიანი, სათნოებით და სიყვარულით სავსე... კეთილი ადამიანი, გულითადი მეგობარი, ძმა, რომელიც შენ გვერდით არის და გაჭირვების დროს მხურვალე ალერსით ამშვიდებს შენს აშფოთებულს სულს. მე ბევრი ამხახაგი მყავდა ცხოვრებაში, მაგრამ ისინი იყვნენ მხოლოდ თანამოაზრენი: ჩვენ გვაერთებდა მხოლოდ ერთი საქმე და მისწრაფება... მაგრამ ჩვენ შორის არ იყო ის გრძნობა, რომელიც აერთებს ორ ადამიანს და ერთს მეორის ნახევრად ჰხდის; ის გარემოება, რომელიც თავის სიწმინდით და სინათლით ჰფანტავს შავს ფიქრებს და ამშვიდებს აღელვებულს სულს; ის გრძნობა, რომლის მშვიდ სიღრმეში ისვენებს ამბოხებული გონება და ტკბილს დავიწყებას ეძლევა; ის გრძნობა, რომლის სიხაზე და სისპეტაკე იპყრობს ადამიანს და აღვიძებს მის გულითადს სურვილს:

იდუმალ და ლამაზ ვნებათა წყურვილს, ნაზ ალერსის და ტკბილ სიყვარულის სურვილს. ადამიანს რომ ატკბობს, ახარებს და ნეტარებასა ჰგვრის! ეს კი მხოლოდ ქალს შეუძლიან, ნამდვილს ქალს, ალერსით და სიყვარულით სავსეს.

ოდეღსაც მე ვეტრფოდი მშვენიერ რუსის ქალს. ტანადს, ჯან-საღს, ვნებათა გამბედაობით სავსეს; წყნარი და გულ-კეთილი, მორჩილი და მოსიყვარულე, იგი გადაიქცა ჩემი ფიზიკური არსებობისა და სრულიად ვერ მიმიხვდა, სრულიად ვერ დაუახლოვდა ჩემს შინაარს: ჩემი სულითადი მისწრაფებანი მან ვერ გაიგო და ვერ შეითვისა.. და როდესაც მე მომწყინდა მარტო ფიზიკური არსებობა და მოვიწადინე მისი დაუღლება სავსებით სულიერ კავშირისთვისაც, მე დავრწმუნდი, რომ ის იყო თუმც მეტად კარგი, მაგრამ მეტად სულმდაბალი ადამიანი, რომელსაც არ შესწევდა არავითარი ძალა ჩემი სულიერი დაკმაყოფილებისა; მის ფართო და ადამიანობით სავსე ბუნებას ჰქონია გამონაკლისი, რომლის ახსნა და შესწორება მეტად შეუძლებელი იყო: მას უყვარდა მთელი ქვეყანა, სწამდა მთელი კაცობრიობა და ამავე დროს საშინლად სძაგდა ებრაელები! თითქოს დედის რძესთან ერთად მას მიეღო საწამლავი, რომელსაც სამუდამოდ მოეშხამა მისი სხეული.. ჩემი საუკეთესო მეგობრები ებრაელები იყვნენ და ბავშვობიდანვე მათთან შეჩვეულს და ძმურად აღზრდილს არ მესმოდა და ვერ შევურიგდი მის გრძნობას..

მალე ჩვენ შორის გასწყდა ერთად-ერთი ბეწვის ხიდი და ჩვენ გავშორდით ერთმანეთს, თუმც უმტროდ, მაგრამ შერცხვენილნი: მე ვგვანდი იმ ქურდს, რომელმაც ბნელაში შეცდომით ცარიელ ჯიბეში ჩაუყო ხელი თავის მეგობარს!.

ვეტრფოდი მე გულ-ფიცს და მუდამ მღელვარე პოლონელ ქალსაც. გამოვსცადე მისი მხურვალე შეუდარებელი ალერსი, რომელმაც ამომიწოგული და სული უფრო ამიშფოთა. გატაცებული და დამტკბარი მე ახლოს ვიყავ სიყვარულთან, მაგრამ.. მაგრამ, მალე მან დამტანჯა უსაფუძვლო ეჭვებით, სურვილებით და როდესაც მე ვეღარ გავუძელ ამ წვალებას და ტანჯულმა გამოვიჩინე გულ-გრილობა, მან მაშინათვე შემიძულა მე ტ მიეცა შურის ძიებას: ანგე-

ლოზი გადაიქცა ნამდვილ სატანად და მის სიბოროტეს საზღვარი აღარა ჰქონდა!. მან გამონახა ბებერი და უმგზავსი ქმარი, მეტად მდიდარი და მეტად „გავლენიანი“, და მუდამ დღე, დანიშნულ საათზე, გამომავლიდა ხოლმე საკუთარ ეტლით ფანჯარის წინ თავის საყვარელ მეუღლით.. ყველაფერი ჩამშხამდა: მე ვგვანდი მოწამლულს, რომელმაც დალია ფრიად სასიამოვნო, მეტად ტკბილი და მაგარი სასმელი ძვირფასი სასმელი ძვირფას ფიალით და მის ძირზედ იგემა მწარე შხამიც!.

იყო დრო, როდესაც მე ვეტროფოდი კოპწია ფრანგის ქალსაც: მუდამ მხიარულს, სიცოცხლით სავსეს, კეკლუცს. მაგრამ, ძილიან მალე მე მომწყინდა მისი გაუთავებელი კისკასი, მომბეზრდა მისი უწმაწური ალერსი, შემჯავრდა გარყვნილი ენა და გადაგვარებული, გახრწნილი ინსტიკტები!.. და როცა თავმობეზრებულმა გადავსწყვიტე მისი მიტოვება და გამოუცხადე ეს დინჯად და პირდაპირ,—მან გამიმართა ნამდვილი კოკეტკური სკანდალი.

ვეტრფოდი იტალიელ ქალსაც: ექსპანსიურ გრძნობებით და ცეცხლისებრ აღგზნეულ ტემპერამენტით.., ხან რელიგიოზურ ექსტაზით გატაცებული მიეცემოდა ლოცვას და სინანულს და ახლოს არ მიმიკარებდა, ხან ძირს ამხობდა ღმერთებს და მარტო მე მაღმერთებდა!.. ითხოვდა მხურვალე სიტყვებს, აღგზნეულს ლექსს, მგრძნობიერ სიმღერებს ლამაზ გრძნობებს, ლამაზ ცხოვრებას... და ერთხელ როდესაც მოულოდნელად დაინახა შემთხვევით ჩემთან შემოსულ ახალგაზრდა ქალთან მოსაუბრე,—სიტყვაც არ ამოგვაღებინა: მიჰვარდა ქალს, დასწვდა თმებში გადაამტვრია თავზე ქოლგა და როცა შეშინებული გააქცია, მომვარდა მეც დამტვრეული ქოლგით და სხვა რომ ვერა მოახერხა რა, ცოტას გასცდა, პურის საჭრელ დანით ყელი არ გამომჭრა!.. მე ვგვანდი მლოცველს, რომელიც შევიდა ეკლესიაში სალოცავად და ნამდვილი „ინკვიზიტორების“ ხელში ჩავარდა!.

გამიტაცა მე იაპონელმა ქალმაც... პაწკია, ნაზი, პრიალა მაღლად ავარცხნილ გიშრის ფერ თმებით, გრძელ წამწამებში ჩამალულ ნუშის მზგავს თვალებით იგი გაჩნდა ჩემს ცხოვრებაში შეუმჩნევლად როგორც პეპელა, ამავსო მთლად ალერსით და სიყვარულით და როცა პატარა ბავშვივით დამაძინა ტკბილ ნანათი, შეუმჩნევლადვე გადაფრინდა ყვავილებზე: გაქრა როგორც საუცხოვო მოჩვენება, გათავდა როგორც ტკბილი ზღაპარი! ჭრელი, ლამაზი პეპელა ლამაზ ყვავილებში დაიკარგა... მე ვგვანდი გამოღვიძებულს, რომელიც ტკბილს სიზმარში შევიდა საუცხოვო, მშვენიერ ყვავილებით სავსე ბაღში და მათი მოწყვეტა კი ვერ მოასწრო!..

მოვიდა ის სანატრელი დროც, როდესაც მე შევხვდი ქართველ ქალს. დიდხანს ველოდი... გულში ვატარებდი... ყველგან ვეძებდი... ნამდვილს ქალს, ნამდვილი, სილამაზით სავსეს... ძვირფას, როგორც მუდმივი საუნჯე, იშვიათს როგორც საუცხოვო მარგალიტი! ლამაზს, როგორც ჭეშმარიტება, ღირსი ნამდვილი სიყვარულისა!. ოჰ! რა რიგ მწყუროდა ასეთი სიყვარული!. და რა წამს შევხვდი მე იმას, მაშინათვე მოვიწონე იგი და განვიცდიდი აღტაცებას, სიხარულს, ვსტკბებოდი, ბედნიერი ვიყავ სიყვარულს ველოდი... მაგრამ, ვერ ვღირსე!.. ეს ქალიც, ქართველი ქალიც, ისევე როგორც ქალთა უმრავლესობა იყო მხოლოდ „ლამაზი ქალი“ და დროებითი და ყალბი იყო მისი სილამაზეც. . მან არ იკმარა თურმე ის გრძნობა, რომელიც მე მას მივანიჭე როგორც ადამიანს... მან იუკადრისა ის გრძნობა, რომელიც მას არ ეკუთვნოდა: ის იყო თურმე მარტო „ლამაზი ქალი“, მოკლებული იმ შინაარს, რომელიც აღრმავებს ადამიანის სულს და გადაქცევს მას ჭეშმარიტ ღირებულებად ადამიანთა შორის!.. ის მოკლებული იყო „ჭეშმარიტ სილამაზეს“... მისი ლამაზი პიროვნება, ბუნებით მდიდრულად შემკული, დაფარული იყო „ჩვეულებრივ სილამაზით“, მისი სპეტაკი სული შებოჭვილი იყო „ჩვეულებით და ტრადიციით“!.. მან უარჰყო თავისუფლება და დამოუკიდებლობა თავის სულისა და არ ამახსნევინა ბორკილები „ჩვეულების და ტრადიციისა“ თავისი ლამაზი პიროვნების გამოსაჩენად... და როდესაც მე ავმხედრდი მათ დასამსხვრევად და უარ ვყავი მისი „ჩვეულებრივი სილამაზე“ და „ტრადიცია“,—შემირჩია დრო და სასტიკად დამსაჯა: ერთხელ, როდესაც მისივე ალერსით მიყუჩებულს ჩამეძინა ტკბილად სიყვარულის მოლოდინში,—მან გულში ჩამკრა მოშხამული ხანჯალი და სასიკვდილოდ დაჭრილი მიმატოვა დაუნანებლად!... „ლამაზი ქალი“ მოკლებული იყო ლამაზი ადამიანურ გრძნობებს: მას გული შავი ქვისა ჰქონდა... მე ვგვანდი იმ მქადაგებელს, რომელიც მგლის თავზე წმინდა სახარებას კითხულობდა!

გავიდა ხანი... ხნიერი გავხდი მეც... და მას აქედ მე აღარ მომწონს და აღარ მიყვარს არც ერთი „ლამაზი ქალი“ დედა-მიწის ზურგზედ, იმიტომ რომ იგი ლამაზია „ტრადიციისათვის“ და მისი სილამაზე არ იქნება ლამაზი და უცვლელი, როგორც ჭეშმარიტება!.. მას აქედ მე მიყვარს მხოლოდ ნამდვილი ადამიანი, ლამაზი სულით და გულით, ლამაზი და ნათელი გონებით!

გენო ყორჩიბაში.

(გაგრძელება იქნება)

ᲓᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ამხ. გიორგი ყურულაშვილს

პატივცემულ ბესო მაისურაძის იუბილეიზე, თქვენ, მისალოც სიტყვაში, ორიოდე სიტყვით შეხეთ სახალხო სახლს და მთელ დასის შემადგენლობას; დაგვემუქრეთ. თქვენი მწვავე გამოსვლის მიზეზი ვითომ ის იყო, რომ იუბილეის არ დაესწრო სახალხო სახლის წარმომადგენელი და იუბილიარს არ მიულოცა. ეს ფაქტი პირადათ ჩემთვის და დასის დიდი უმრავლესობისათვის გულსატკენი და სამწუხაროა, მაგრამ სანამ თქვენ დიდმრიცხოვან აუდიტორიის წინაშე ასეთ პასუხსაგებ ბრალდებებს წამოაყენებდით მთელი დასის წინააღმდეგ, აუცილებლად საჭირო იყო მიზეზის გაგება. ჯერ ერთი, და მთავარი ის გახლავთ, რომ წარმომადგენლის გ[illegible] მოგზავნა შედის გამგეობის [illegible] [illegible] ჩვენ აუცილებლად [illegible] [illegible] წრეში ისე მთელი საზოგადოების წინაშე, და თქ[illegible] კი მთელ დასს დაემუქრეთ. იცოდეთ ამხ. გიორ[illegible] რომ ჩვენ სახალხო სახლში გულწრფელად ვემსახ[illegible] რებით მშრომელ ხალხს და ხალხურ ხელოვნებ[illegible] და თუ თქვენ გაინტერესებთ ჩვენი წარსული [illegible] შაობა, ბრძოლა ახლებსა და ძველებს შორის, მი[illegible] ციეთ ყურადღება „კომუნისტის“ ფურცლებზე [illegible] **ლოვანის** წერილებს...

პატივისცემით დასის წევრი

შალვა გომართელი.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

მოქალაქე რედაქტორო!

თქვენ შეკითხვაზე გიპასუხებ შემდეგს: თქვენი გაზეთის 499 ნომერში ჩემ მიერ ზეპირად მოყვანილ სტრიქონებში მომივიდა შეცდომები.

მოყვანილი მქონდა:

„წმინდა ხარ წმინდა ივერიის
ტურფა ასულო,
იყავ კურთხეულ უკუნითი
უკუნისამდე.

ა. შანშიაშვილი.

უნდა. იყოს:

შენ უნდა მარად უკვდავების ნაკადსა ჰსვამდე—
იყავ კურთხეულ უკუნითი უკუნისამდე.

ა. შანშიაშვილი.

(„თეატრი და ხელოვ.“ 1910 წ. 12 დეკემ.)

მოყვანილი მქონდა:

„უნდა აღსდგეს საქართველო
ეხლა ან და არასოდეს“.

ა. მაყაშვილი.

უნდა იყოს:

„ცეცხლში ცეცხლით ახლდებოდეს
ჩემი მხარე განწმენდილი
ეხლა ან და არასოდეს.

კ. მაყაშვილი.

(1917 წ. „საქართველო“ 12 მარტი).

ამით ვათავებ მე კამათს.

ი. მჭედლიშვილი.

რედაქციის შენიშვნა: სამწუხაროა, რომ მჭედლიშვილი ასე „გულუბრყვილოდ“ მოეპყრა საკითხს და მარუთასთან კამათის დროს გრიშაშ[illegible] ლის სტრიქონები მიაკუთვნა სხვა პოეტებს „ზეპ[illegible] რად“ და შეცდომაში შეგვიყვანა. ამის შემდეგ ჩ[illegible] ზედმეტად მიგვაჩნია კამათის გაგრძელება და მ[illegible] რუთას წერილს („შემჭედლიშვილება“) აღარ ვმ[illegible] დავთ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ

წერილი რაჭიდან.

მკითხველს კარგათ მოეხსენება, რაჭა თუ რამდენად მდიდარია მადნებითა და სამკურნალო წყლებით, მაგრამ ასეთი სიმდიდრე ჩვენთვის დღემდე გამოუდეგარია. არა გვაქვს ცოდნა მადნის დამუშავებისა. სააგარაკო ადგილები როგორიც რაჭაშია, იშვიათია საქართველოში. ვის არ გაუგონია სახელგანთქმული უწერის მჟავე წყალი? ასეთი სამკურნალო წყლები გამოდის ს. ურავსა და სორში. გოგირდის წყლები მრავალია. რაჭაში მსოფლიო ომის დაწყებამდე აგარაკათ ითვლებოდა ს. უწერა. მიუხედავათ ცუდი გზებისა, უწერაში ყოველ წელს უამრავი ხალხი მოდიოდა სამკურნალოთ. ხშირათ მოდიოდენ რუსეთიდან და საზღვარ გარეთიდანაც. მოხდა თებერვლის გადატრიალება, გაიქცა მენშევიკური მთავრობა. დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ხალხი შეშინდა მენშევიკების ჩაგონებით, მას ეგონა რომ მთავრობა ჩამოართმევდა სახლებს, შეეხებოდა კერძო საკუთრებას. ამ მიზეზის გამო ვინც მოასწრო, სააგარაკო სახლები ზოგმა გაჰყიდა, ზოგმა დაანგრია და მასალათ მოიხმარა. რიონზე გადებული ხიდი, მჟავე წყალზე გასასვლელი, რიონმა წაიღო. აგარაკი კიდევ უფრო განადგურდა. ეს ორი წელიწადია, რაც საშინელ სანახაობას წარმოადგენს. ერთ დროს კოხტა პატარძალივით მორთული უწერის აგარაკი. უარესი დღე დაადგა ს. წესში სახელგანთქმულ გოგირდის წყლის ქვეშ ვაკის აბანოს.

მენშევიკების გაქცევის შემდეგ აბანოს დაეპატრონა საბჭოთა ხელისუფლება. წარსულ წელს წყალ-დიდობის დროს აბანოს შენობა დაანგრიეს და ისე უპატრონოთ დაჰყარეს. მას შემდეგ ქვითკირს აწვიმს, კედლები იშლება, ქვაბი უპატრონოთ გდია. ერთი სიტყვით აბანოს შეხედვა მტერსაც შეეზარება. წარსულ კვირას რაჭაში მოგზაურობდა ამხ. მამია ორახელაშვილი და ექიმი შამშე ლეჟავა. მათ არ გამოეპარათ ეს მოვლენა. წინადადება მისცეს წესის აღმასკ. თავმჯდომარეს, აბანოს შენობის აგების შესახებ. დაჰპირდნენ ამ საქმისათვის სათანადო თანხას.

ვისურვებთ, ისეთი თვალ-საჩინო აგარიკი, როგორიც უწერაა და ქვეშ ვაკის აბანო აღდგენილ იქნეს, რომელსაც დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია ხალხისათვის.

ვანო ჭიჭინაძე.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ბესო მაისურაძის იუბილეის გამო. მუშა-მსახიობის ბესო მაისურაძის იუბილეის გამო საქარ. მთავრობამ გაიღო ნახევარი მილიარდი მანეთი, საქარ. კომპარტიის ცეკამ—200 მილიონი, ქალაქის აღმასკომმა—100 მილიონი და სხ. დაახლოვებით იუბილიარმა მიიღო ორ მილიარდ მანეთამდე.

კონცერტი. ყოფ. „სტელლას“ კლუბში ხუთშაბათს 29 ივნისს პროფ. კავშირის მომღერალთა გუნდი, მართავს ეროვნულ კონცერტს. გუნდს ლოტბარობს კალანდაძე.

იონა ვაკელის ნაწარმოები. ამ დღეებში გამოვა პროლეტარულ პოეტის იონა ვაკელის ნაწარმოების პირველი კრებული.

წ. არმიელთა წარმოდგენა ც. წ. ა. კლუბში. 20 ივნისს ც. წ. არ. კლუბში გაიმართა მორიგი წარმოდგენა წ. არმიელთათვის. წარმოდგენილ იქმნა 1. „ბუდდას ქანდაკება“, 2. „ევროპიელნი“ და 3. ლექსთა თქმა. წარმოდგენის წინ საღამოს მნიშვნელობაზე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ხიხაძემ, რომელმაც მარტივად აუხსნა დამსწრეთ და დაასურათა სოც. რევოლიუციის მიერ ევროპაში გადატყორცნილ სოციალ გამყიდველების როლი, ანტირევოლიუციონური მუშაობა.

თანაც მოუწოდა წითელ არმიელთ მტკიცედ იდგნენ თავიანთ სადარაჯოზედ მუშა-გლეხების და საერთოდ მშრომელთა საკეთილდღეოდ. პიესა „ევროპიელნი“-ში გამოხატული იყო ანტი სოციალისტების მოღვაწეობა ევროპაში და წ. არმიელებზე ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა.

პიესებს ხელმძღვანელობდა ამხ. ხუციშვილი, დარბაზი გაჭედილი იყო წითელ არმიელებით.

„პოეტები შუშაბანდებში“. პოეტმა ი. გრიშაშვილმა დასწერა წიგნი „პოეტები შუშაბანდებში“, რომელიც გამოვა ორ ტომად.

ახალი პიესა. ვ. ბუთლიაშვილმა დასწერა პიესა „ეპისკოპოსი ვართანა“. სატირ-კომედია 3 მოქმედებათ, სიმღერა კუპლეტებით, შინაარსი აღებულია მონასტრის „მამათა“ ცხოვრებიდან. პიესას ახლო დროში წარმოადგენენ მუშათა თეატრებში.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ᲒᲐᲜᲪᲮᲝᲤᲘᲚᲝᲑᲐ

აცხადებს ყველა სახლის მეპატრონეთა, სახლების მოურავებისა, კომენდანტებისა და სხვათა საყურ[illegible] ღებოთ, რომ 1923 წ. სახლების წიგნების შეძენის უკანასკნელ ვადათ

ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ

5 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

იმ პირებს, რომელნიც აღნიშნული რიცხვისთვის არ შეიძენენ ახლის წიგნებს, **გადახდებათ ჯ[illegible] რიმა 15 ნახ. ჩერვონცამდის, ან და დატუსაღებული იქნებიან ადმინისტრატიული წესით 2 თვე[illegible] დის.**

№ 378 2—1

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐᲗᲐ

ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲐᲪᲜᲝᲒᲔᲑᲡ

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ, ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲡ, ᲙᲔᲠᲫᲝ ᲞᲘᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲪᲐᲚ-ᲪᲐᲚᲙᲔ ᲑᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲗᲐ,

რომელნიც დაინტერესებული არიან ხიხისა და ბოსტნეულის გახმობაში, რომ მიმდინარე სეზონში ამიერ-კავკასიის ფარგლებში განზრახულია მოეწყოს

ᲮᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲮᲛᲝᲒᲘ

მატარებელის, ექსპლოატაცია რომელსაც ყოველგვარი საქარხნო მოწყობილობა ექნება ნედლი მასალის მექანიკურად გადამუშავებისათვის (ალუბალი, ჭერამი, უნაბი, ატამი, ვაშლი, კარტოფილი, სტაფილო და სხვა ხილი და ბოსტნეული) გამხმარ პროდუქტებში.

1) ნედლი მასალა შეიძლება ჩაბარებულ იქნეს გადამუშავების ღირებულების გადახდით, მაგრამ არა უმეტეს ერთი მანეთისა თვითეულ ფუთ გამხმარ პროდუქტებზე; იმ ხილისა და ბოსტნეულისათვის, რომელთა გასავალის პროცენტი დიდია, გადამუშავების ფასი შეიძლება თანაბრად შემცირებულ იქნეს.

2) გადამუშავების ფასი შეიძლება გადახდილ იქნეს თანაბარი ღირებულების ნედლი მასალით ან ნაწილობრივ ფულით და ნედლი მასალით.

3) შემკვეთლებს მთელი რიგი შეღავათებისა ეძლევათ ტარანსპორტიროვკისა, შენახვისა, რეალიზაციისა და ფრახტის გადახდაში, აგრეთვე ეძლევათ სესხი გადამუშავებულ პროდუქტის გირაოს ქვეშ.

4) ტარის შეძენის სიაფესათვის, რომელიც დამზადებულ პროდუქტის ჩასაწერად არის საჭირო, ხილისა და ბოსტნეულის გამხმობი მატარებელი ყუთების დასამზადებლად ღებულობს შეკვეთებს კლიენტებისათვის ხელსაყრელ პირობებში. მატარებელი იღებს შეკვეთებს აგრეთვე მორისა და ფიცრების დასახერხავად, ხმელ ხელსაწყოების რემონტისათვის და ხორბლეულ პროდუქტების დასაფქველად; ყველა ეს სამუშაოები შესრულებული იქნება მატარებლის დამხმარე მოწყობილობის საშუალებით; ყველა იმათ, ვისაც სურს მატარებლით სარგებლობა, წინადადება ეძლევათ თავის დროზე შეიტანონ განცხადება, რადგან შეკვეთების შესრულება ხდება რიგის წესით და იმ რაიონების შეთანხმებით, სადაც მატარებელმა უნდა იმუშაოს.

ცხობებისათვის უნდა მიმართოა ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს ეკონომიურ სამსახურს (სადგურის ქ. № 1, მე-2 სართული, ოთახი № 57).

5—2 № 378.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡᲘ 1923 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ № 393 ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲖᲐᲠᲘᲐ ᲕᲝᲡᲢᲝᲙᲐ“-ᲡᲘ, ᲙᲠᲣᲞᲖᲘᲜᲨᲢᲔᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩ. № 4